




ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრება

მასწავლებელთა ტრენინგის პაკეტი

მოდული 1. ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლები სწავლებისათვის

გაორკვეთი.
ინტელექტუალური საკუთრება
მომავალში
ტრენინგის კონსპექტი



მიზნები	- კრეატიულობას, ინოვაციას, მეწარმეობასა და ინტელექტუალურ საკუთრებას შორის კავშირების შესწავლა - ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლების ცოდნის მისაღება ყოველდღიურ საგანმანათლებლო საგნებთან.												
მასალები	- კომპანია „ლეგოს“ შექმნის ისტორიის სამუშაო ფურცელი (თითო ასლი ყველა მონაწილისთვის) - ლეგოს ისტორიის ვიდეო https://www.youtube.com/watch?v=NdDU_BBJW9Y&ab_channel=LEGOclubTV - ტექსტი „კომპანია ლეგოს შექმნის ისტორია“ - ლეგოს აგური												
ვორქშოპის მონახაზი	<table><tr><th>საფეხური</th><th>აქტივობა</th><th>მასალები</th></tr><tr><td>1. ყინულის გაღომა</td><td>ფიქრი ჩარჩოებს მიღმა -- მცირე ჯგუფებში</td><td>ლეგოს აგურები/ბლოკები</td></tr><tr><td>2. ინტელექტუალური საკუთრება (IP) მოქმედებაში</td><td>კომპანია „ლეგოს“ ისტორია -- უკუკავშირი მცირე ჯგუფებში; უკუკავშირი მთელ აუდიტორიაში</td><td>მოთხრობის ტექსტი, სამუშაო ფურცელი</td></tr><tr><td>3. ინტელექტუალური საკუთრება (IP) ჩვენ გარშემო</td><td>ინტელექტუალური საკუთრება და განათლება -- პოსტერების დამზადება მცირე ჯგუფებში; უკუკავშირი გალერეაში გასვრებით</td><td>ნივთები საკლასო ოთახიდან: ლეპტოპი, პროექტორი, მობილური ტელეფონი, ინტერაქტიული ვაიტბორდი და სხვ.; ფლიპჩარტები და ფლომასტერები</td></tr></table>	საფეხური	აქტივობა	მასალები	1. ყინულის გაღომა	ფიქრი ჩარჩოებს მიღმა -- მცირე ჯგუფებში	ლეგოს აგურები/ბლოკები	2. ინტელექტუალური საკუთრება (IP) მოქმედებაში	კომპანია „ლეგოს“ ისტორია -- უკუკავშირი მცირე ჯგუფებში; უკუკავშირი მთელ აუდიტორიაში	მოთხრობის ტექსტი, სამუშაო ფურცელი	3. ინტელექტუალური საკუთრება (IP) ჩვენ გარშემო	ინტელექტუალური საკუთრება და განათლება -- პოსტერების დამზადება მცირე ჯგუფებში; უკუკავშირი გალერეაში გასვრებით	ნივთები საკლასო ოთახიდან: ლეპტოპი, პროექტორი, მობილური ტელეფონი, ინტერაქტიული ვაიტბორდი და სხვ.; ფლიპჩარტები და ფლომასტერები
საფეხური	აქტივობა	მასალები											
1. ყინულის გაღომა	ფიქრი ჩარჩოებს მიღმა -- მცირე ჯგუფებში	ლეგოს აგურები/ბლოკები											
2. ინტელექტუალური საკუთრება (IP) მოქმედებაში	კომპანია „ლეგოს“ ისტორია -- უკუკავშირი მცირე ჯგუფებში; უკუკავშირი მთელ აუდიტორიაში	მოთხრობის ტექსტი, სამუშაო ფურცელი											
3. ინტელექტუალური საკუთრება (IP) ჩვენ გარშემო	ინტელექტუალური საკუთრება და განათლება -- პოსტერების დამზადება მცირე ჯგუფებში; უკუკავშირი გალერეაში გასვრებით	ნივთები საკლასო ოთახიდან: ლეპტოპი, პროექტორი, მობილური ტელეფონი, ინტერაქტიული ვაიტბორდი და სხვ.; ფლიპჩარტები და ფლომასტერები											
ჩანიშვნები აქტივობების ჩასატარებლად	1. ყინულის გაღომა - როლური გათამაშება - უჩვენეთ მონაწილეებს ლეგოს აგური. სთხოვეთ, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მოიფიქრონ (გონებრივი იერიშით) ლეგოს აგურის გამოყენების უჩვეულო ვარიანტები. - უკუკავშირი: ჩარჩოებს მიღმა ფიქრის, ანუ დივერგენტული ფიქრის უნარი ყველა კრეატორის, ინოვატორისა და მეწარმის საკვანძო უნარია. 2. ინტელექტუალური საკუთრება (IP) მოქმედებაში - ეს საფეხური წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების როლს კრეატიულობაში, ინოვაციასა და მეწარმეობაში. - მონაწილეები მუშაობენ სამუშაო ფურცელზე. ისინი ასრულებენ დავალებას მოთხრობის მიხედვით. - უჩვენეთ მონაწილეებს ვიდეო ან სთხოვეთ, რომ წაიკითხონ მოთხრობა „კომპანია ლეგოს ისტორია“. - ამის შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს, მცირე ჯგუფებში შეასრულონ დავალება სამუშაო ფურცლებით. მასწავლებლები რეფლექსიას გააკეთებენ იმ უნარებსა და პროცესებზე, რომლებიც უკავშირდება კრეატიულობას, ინოვაციასა და მეწარმეობას. - შემდეგ ისინი გამოიყენებენ ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლების სესიას დაგროვილ ცოდნას და გააანალიზებენ, როგორ მიესადაგება ინტელექტუალური საკუთრების ინსტრუმენტები LEGO-ს ჯგუფის საქმიანობას. იხილეთ შენიშვნები თემაზე „ინტელექტუალური საკუთრება და LEGO ჯგუფი“ ქვემოთ.												

ჩანიშვნები აქტი- ვობების ჩასატა- რებლად

3. ინტელექტუალური საკუთრება (IP) ჩვენ გარშემო

- მასწავლებლები მუშაობენ მცირე ჯგუფებში -- მოიფიქრებენ იდეებს და შექმნიან გონებრივ რუკას ან პოსტერს, რომელიც წარმოაჩენს ინტელექტუალური საკუთრების ინსტრუმენტების კავშირს სასწავლო აღჭურვილობის საგნებთან.
- გამოიყენეთ პრეზენტაცია და მიმოიხილეთ ინტელექტუალური საკუთრების ოთხი ძირითადი ინსტრუმენტი: სასაქონლო ნიშანი, დიზაინი, პატენტი და საავტორო უფლებები.
- ყოველი ჯგუფი შეარჩევს ერთ-ერთ აღჭურვილობას და შექმნის პოსტერს.
- ისინი გამოფენენ შექმნილ პოსტერებს, მოაწყობენ გასეირნებას გალერეაში და გააკეთებენ უკუკავშირს. .

შენიშვნები თემაზე „ინტელექტუალური საკუთრება და LEGO“

LEGO ჯგუფი ინტელექტუალური საკუთრების ყველა სახის უფლებას იყენებს. აქ მოცემულია მათი ინტელექტუალური საკუთრების ოთხი ძირითადი მიმართულება.

- დაპატენტებულია LEGO-ს აგური, კოტების მილაკებში ჩასმის ფუნქციითურთ.
- ასევე, პატენტი გაიცა LEGO-ს სხვა სათამაშოებსა და პროდუქტზე, მათ შორის, პატარა ყინულის მანქანაზე, რომელსაც რთული გამწევი მექანიზმი აქვს.
- სახელი „LEGO“ უამრავ ქვეყანაშია რეგისტრირებული გამოსახულებით და სიტყვიერ სასაქონლო ნიშნად, არა მხოლოდ სათამაშოების, არამედ პროდუქტებისა და მომსახურების ბევრ სხვა კატეგორიაშიც, მაგალითად, ტანსაცმლის კლასში. LEGO-ს ჩანთები, ტანისამოსი, სახლის დეკორაციები, პატარა სათამაშო ცხოველები და ა. შ. დაცულია დიზაინად.
- LEGO-ს ჯგუფის მიერ შექმნილი გზამკვლევები, ბროშურები, ინსტრუქციები, მოთხრობები -- საავტორო უფლებებითაა დაცული.



სამუშაო ფურცელი

კომპანია „LEGO“-ს შექმნის ისტორია

ეს არის ამბავი იმის შესახებ, რომ შეიძლება იყო ინოვაციური და კრეატიული, მაგრამ საქმე ყოველთვის იოლად არ გამოგივიდეს. თავიდან შეიძლება წარმატებამ დაიგვიანოს, მაგრამ თუ საკუთარ იდეას რწმენით შეხედავ და შეუპოვრად იმოქმედებ, რაღაც კარგს მიაღწევ.

ამბავი იწყება ჩრდილოეთ დანიის ერთ პატარა ქალაქში, რომლის მოსახლეობასაც სანახევროდ მიწათმოქმედებით გაჰქონდა თავი. თქვენ გაეცნობით ღარიბ ღურგალს, ძველი ავეჯის შეკეთებით რომ ირჩენდა თავს, თუმცა ცოლისა და ოთხი ვაჟის გამოსაკვებად შემოსავალი თითქმის არასოდეს ჰყოფნიდა. ერთ დღეს ის იძულებული გახდა, ჩვეული ხელობისთვის თავი დაენებებინა, რადგან მუშტრები აღარ აკითხავდნენ. ღურგალმა შეხედა თავის ონავარ შვილებს და გაიფიქრა: „ბოლოს და ბოლოს, ხის სამუშაოების კარგად გამეგება და ჩინებული ღურგალი ვარ. ვიცი, რასაც გავაკეთებ!“ და მალე ხის სათამაშოების დამზადება დაიწყო.

ღურგალმა ახლებურად გამოიყენა ის, რაც უკვე ხელეწიფებოდა. ოჯახი უნდა ერჩინა, ამიტომ სათამაშოების კეთებას მიჰყო ხელი. ხალხს მოსწონდა მისი ნახელავი. ღურგალმა ახლომხლო გაშენებულ პატარა ქალაქებშიც დაიწყო ჩასვლა სათამაშოების გასაყიდად. ბევრს ვერაფერს შოულობდა, მაგრამ იმდენი კი უგროვებოდა, რომ მოზარდი შვილებისთვის საჭმელი ეყიდა.

მალე ღურგალს უფროსი ვაჟიც შეეშველა სათამაშოების დამზადებაში. ერთხელ, შობის წინა დღეს, ბიჭმა ამაყად უთხრა მამას:

– მამა, ნახე, რა მოვიფიქრე! რა საჭიროა, სათამაშოებს სამი ფენა ლაქი წავუსვათ? მხოლოდ ორი ფენა წავუსვი და ფული დავზოგე.

მამამ მკაცრად შეხედა შვილს და უთხრა:

– არა, შვილო. ჩვენ მხოლოდ საუკეთესო სათამაშოებს ვამზადებთ. ამოალაგე ყუთებიდან და ხელახლა გალაქე. ჩვენ ნარჩევი მასალით ვმუშაობთ და მუდამ ასე გავაგრძელებთ. ბავშვებმა მხოლოდ საუკეთესო უნდა მიიღონ!

ღურგალმა უფრო და უფრო შორეულ ქალაქებში დაიწყო გამგზავრება, რათა იქაც ეცადა ბედი. დარწმუნებული იყო, მისი სათამაშოები ყველას სჯობდა და მიხვდა, რომ საჭირო იყო ისეთი სახელის შერჩევა, რომელიც მის სათამაშოებს სხვებისგან გამოარჩევდა. ერთ სადამოს, სახელზე ფიქრისას, ორი სიტყვა: „კარგად“ და „თამაში“ გადააბა ერთმანეთს. დანიურად „ლეგო“ გამოვიდა, რაც მშვენივრად ჟღერდა. მაშინ ღურგალმა სულ არ იცოდა, რომ ლათინურად ეს ახალი სიტყვა „საგანთა შეკავშირებას“ ნიშნავდა.

ახლა სათამაშოებს უკვე სახელიც ჰქონდა და ღურგალმა მათი გაყიდვა უფრო მეტ მაღაზიაში დაიწყო. მალე თავისი ნაწარმი უკვე მეზობელ ქვეყნებში – გერმანიასა და ინგლისშიც – გაჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ღურგალმა და მისმა ვაჟმა ახალი შესაძლებლობების ძიება დაიწყეს. იცოდნენ, რომ სათამაშოების ხარისხის შესანარჩუნებლად მათი უწყვეტი გაუმჯობესება იყო საჭირო, ამიტომ მუდმივად იკვლევდნენ ახალ მასალებსა და შესაძლებლობებს.

ღურგლის ვაჟი კოპენჰაგენის ბაზრობაზე გაემგზავრა. ერთ სადამოს მამას დაურეკა და აღტაცებულმა უთხრა: „იცი, რა ვნახე? თურმე პლასტმასის ფორმების ჩამოსასხმელი დანადგარების გამოშვება დაუწყიათ!“

მამა-შვილს მანამდეც სმენოდა პლასტმასის შესახებ – მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ამ მასალამ ფართოდ გაითქვა სახელი.

– მგონი, კარგი იქნება, თუ ფორმების ჩამოსასხმელ დანადგარს შევიძენთ და პლასტმასის სათამაშოების გამოშვებას დავიწყებთ, – უთხრა შვილმა მამას.

– რაღაც ძალიან ჩაგვარდნია გულში... რა ღირს დანადგარი?

– სამი ათასი დანიური კრონა.

– ზუსტად იმდენი, რამდენიც საბანკო ანგარიშზე გვაქვს დარჩენილი... მაგრამ მიდი, იყიდე, მჯერა შენი, – უთხრა ღურგალმა ვაჟს.

ვაჟი შინ პლასტმასის ფორმების ჩამოსასხმელი დანადგარით დაბრუნდა. მამა-შვილმა მისი გამოცდა დაიწყო და პლასტმასის რამ-

დენიმე პატარა აგური გააკეთა. აგურები კარგი გამოდიოდა, მაგრამ აწყობილ კონსტრუქციებს სიმყარე აკლდა. მამა-შვილი დიდხანს უკირ-კიტებდა აგურებს, სანამ უცებ იდგა არ გაუჩნდათ. აგურს ზედა წახნაგზე კოტები გაუკეთეს, ხოლო ქვედა მხარეს – მილაკები. ახლა აგურები კარგად ჯდება ერთმანეთში და ამგვარად მათგან უფრო დიდი კონსტრუქციების აგება შესაძლებელია.

მამა-შვილი ერთობ აღტაცებული იყო ამ ახალი აღმოჩენით, თუმცა ისიც ესმოდათ, რომ გონივრულად უნდა მოქცეულიყვნენ და მეტი ინფორმაცია მოეკრიბათ. ამიტომ დაიწყეს ბევრ სხვადასხვა ბაზრობაზე სიარული და ისეთი ადამიანების ძებნა, რომლებიც რაღაცებში მათზე უკეთ ერკვეოდნენ. ერთ-ერთ ასეთ ბაზრობაზე შეხვდნენ ინჟინერს, რომელიც იურიდიული მრჩეველიც იყო.

– უნდა დააპატენტოთ თქვენი გამოგონება,
– ურჩია მან მამა-შვილს. მათ ერთმანეთს გადახედეს და ახალ ნაცნობს ასე მიუგეს:

– ამდენი ფული არ გვაქვს.

– აუცილებლად დააპატენტეთ თქვენი გამოგონება, თანაც მსოფლიო მასშტაბით. ვფიქრობ, დიდ სახელს მოიხვეჭთ, – გაუმეორა მათ ინჟინერმა.

მამა-შვილმა ბევრი იფიქრა და საბოლოოდ გადაწყვიტა: „მთელ ფულს საერთაშორისო პატენტის მიღებაში ჩავდებთ!“

ასეც მოიქცნენ. მამა-შვილმა LEGO-ს აგურები დააპატენტა.

მალე კომპანიამ, რომელიც ძალიან წარმატებული გახდა, არა მარტო აგურების, არამედ LEGO-ს კონსტრუქტორების გაყიდვაც დაიწყო. კომპანია უდიდეს სახელს იხვეჭდა და მფლობელებმა გადაწყვიტეს, დაეცვათ ბრენდი, სახელი LEGO და ლოგო მსოფლიო მასშტაბით.

LEGO მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ დაცული ბრენდია – მისი პატენტი 125-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. კომპანია, რომელსაც თავისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ამდენ ქვეყანაში აქვს დაცული, ნამდვილად დიდი და სახელმოსხვეჭილია. რა თქმა უნდა, ამგვარი დაცვისთვის კომპანია ყოველწლიურად დიდ თანხას იხდის, რადგან,

დაცვისთვის განაცხადის შეტანის გარდა, სასაქონლო ნიშნის, დიზაინის და პატენტის დაცვის განახლებაც არის საჭირო. კომპანიას ჯერ შეაქვს სარეგისტრაციო განაცხადი და შემდგომ მისი გაგრძელებისთვის გარკვეულ თანხას იხდის. ეს ნიშნავს, რომ ყოველწლიურად კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების შენარჩუნება და სხვადასხვა ქვეყანაში მისი დაცვის საფასურის გადახდა. ღურგალი და მისი შვილი მუდმივად აახლებდნენ თავიანთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

ჩვენი ამბავი მოგვითხრობს, თუ როგორ უნდა დარჩეს ადამიანი თავისი ხედვის ერთგული, როგორ უნდა სწამდეს, რომ „კარგი მხოლოდ საუკეთესოა“. დღეს LEGO თავის სათამაშოებს ყველაზე ძვირადღირებული პლასტიკისგან ამზადებს, რადგან კომპანიამ გადაწყვიტა, მხოლოდ ისეთი მასალა გამოიყენოს, რომელიც თაობებს გაუძლებს, არც გატყდება და არც გაზუნდება. ეს საკუთარი გამოცდილებიდანაც გეცოდინება, თუკი ოდესმე დაგიბიჯებია ლეგოს კუბიკზე: გტკენს, მაგრამ არ ტყდება!

რომ შევაჯამოთ, ესაა ამბავი, თუ როგორ უნდა უერთგულო იმას, რის კეთებაც გინდა. თუ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება გსურს, პრინციპებს არ გადაუხვიო და გახსოვდეს, რომ კარგი მხოლოდ საუკეთესოა. მყარად გამოიყენე შენი სახელი, დაიცავი შენი გამოგონება და ძალისხმევა არ დაიშურო მიზნის მისაღწევად.

კომპანია „LEGO“-ს შექმნის ისტორია


სანამ მოთხრობას წაიკითხავთ

რას ფიქრობთ, რატომაა LEGO ასე წარმატებული?


მოთხრობის კითხვის დროს

გააკეთეთ ჩანიშვნები მოთხრობის იმ ეპიზოდების შესახებ, სადაც ჩანს:


კრეატიულობა



ნოვატორობა



მეწარმეობა



მოთხრობის კითხვის დასრულების შემდეგ

გააკეთეთ ჩანიშვნები LEGO-სა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

	რა არის დაცული?	დამატებითი ინფორმაცია
პატენტი		
დიზაინი		
სასაქონლო ნიშანი		